

სინეზისის შემთხვევები
K79 ხელნაწერში¹
CASES OF SYNESIS
IN MANUSCRIPT K79²

თამაზ დევიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Tamaz Devidze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

In old Georgian, number agreement had a formal character, and the expression of grammatical number evolved over the language's history. Notably, interesting instances of synesis have been confirmed in the K-79 manuscript and other Georgian sources of Lenten Triodion. These examples reveal that the verb form not only corresponds to the form of the noun it agrees with but also takes into account its semantics. Consequently, intriguing patterns of influence on the form emerge as a result of semantics.

Examples of synesis are the instances of agreement in number between actants realized by first- and second-person pronouns with the predicate. As is commonly known, these pronouns express plurality lexically and not formally.

The examples discussed in the article prove once again that the historical basis of number agreement is undergoing a change. The formal principle, which was the norm in the Old Georgian Language, is gradually being replaced by the semantic principle.

საკვანძო სიტყვები: ქართული ხელნაწერები, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი (K79), სინეზისი.

Keywords: Georgian manuscripts, Kutaisi State Historical Museum manuscript (K79), synesis.

¹ კვლევა № PHDF-21-7582 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

² This research № PHDF-21-7582 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ხელნაწერია დაცული. მათ შორისაა K79 ლიტერით აღნიშნული ნუსხა, რომელიც, ანდერძის თანახმად, „მარხვანის“ წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციას შეიცავს (K79, 1r), თუმცა მასში ელინოფილური რედაქციის საგალობლებიცაა შეტანილი. ეს გარემოება ხელნაწერს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის როგორც ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული, ასევე ენობრივი თვალსაზრისით. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ სინეზისის შემთხვევებს, რომლებიც კვლევის ამ ეტაპზე საანალიზო ხელნაწერში გამოვლინდა.

შეთანხმება, როგორც სინტაქსური დამოკიდებულების სახე, სინტაგმის წევრთა საერთო გრამატიკული კატეგორიის არსებობითაა შეპირობებული. სახელისა და ზმნის შემთხვევაში ასეთია რიცხვი.

ქართული ენის სახელებში მრავლობითი რიცხვის წარმოების ორი სისტემაა ცნობილი – ებიანი და ნართანიანი. ეს ორი სისტემა განსხვავებულია როგორც ტიპოლოგიურად, ასევე სინტაქსური ძალის თვალსაზრისითაც.

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ სახელის მრავლობითობის გამომხატველი **-ნ** და ზმნათა **-ან**, **-ენ** სუფიქსები (მიუხედავად იმისა, რომ მათ ხმოვნებიც ახლავს) ერთ ოდენობად უნდა დაისახოს (ჩიქობავა 1954: 74).

რაც შეეხება ზმნებს, ჩვეულებრივ, მრავლობითი რიცხვი სუფიქსებით აღინიშნება. ეს წესი მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დარღვეული – მანის რიგის I პირის პრეფიქსი მრავლობით რიცხვში არის **გვ-** (**გუ-**). ეს ფორმანტი თავდაპირველად პირთა კომბინაციის გამომხატველი უნდა ყოფილიყო და მრავლობითობის აღნიშვნა მისთვის შედარებით გვიანდელი ფუნქციური დანამატია (მელიქიშვილი 2014: 102).

ვფიქრობთ, მასალობრივი იდენტურობა და სახელისა და ზმნის მრავლობითის ფორმანტთა შორის გენეტიური კავშირი არის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი იმისა, რომ ნართანიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა შეუდარებლად დიდია, შეიძლება ითქვას, უგამონაკლისოა, როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით. ამის გამოხატულება უნდა იყოს ისიც, რომ ძველ ქართულში სახელობითში დასმული ბრუნვაცვალებადი ობიექტის მრავლობითობა აღინიშნებოდა, მიცემითში დასმულისა კი – არა.

ენის განვითარებასთან ერთად რიცხვში შეთანხმების სისტემა შეიცვალა. მაგალითები ძველსავე ქართულში დასტურდება. ამ მოვლენის შესახებ მსჯელობას ვხვდებით ა. კიზირიასთან:

„ძველი ქართულის -ნარ-თანიათი მრავლობითის სინტაქსური ძალა შესუსტდა, ამავე დროს გაძლიერდა -ებ ნიშნიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა. ამის შედეგად სხვაობა ნარ-თანიათსა და -ებ ნიშნიან მრავლობითში დასმულ ქვემდებარეებსა და შემასმენელს შორის თითქმის გაქრა (კიზირია 1954: 141).

დამოწმებული მსჯელობის გასამყარებლად ანტონ კიზირია იმოწმებს მაგალითებს საერო მწერლობის ძეგლებიდან:

„მერმე მორიგდა თავადნი...“ (შნ 232₃);

„და მოვიდა ორი მისოდენი ლაშქარნი“ (ამირანდარეჯ. ხელნ. №393, გვ. 8);

რას მემტერების ისინი (შნ 61₄) (იქვე).

სინეზისის, როგორც სინტაქსური მოვლენის, საფუძველი სემანტიკის ზეგავლენაა ფორმაზე. ა. დავითიანი წერს:

„ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია სინეზისის იმგვარი განმარტება, რომლის მიხედვითაც უგულვებელყოფილია გრამატიკული ფორმა და უპირატესობა შინაარსს ეძლევა, ე.ი. შეთანხმება ხდება ფორმოზრივი დამოკიდებულების საზიანოდ“ (დავითიანი 1973: 257).

მსგავსი შემთხვევები ძველ ქართულში მრავლად დასტურდება. K79 ხელნაწერში დადასტურებული შემთხვევები საინტერესო და მნიშვნელოვანია მოვლენის უფრო სრულყოფილად აღწერისა და ანალიზისთვის.

1. K79 ხელნაწერში არაერთგზის დასტურდება მაგალითები, რომლებშიც კრებითი სახელით გადმოცემული ქვემდებარე შემასმენელს ითანხმებს რიცხვში:

„...ერი უგულისჯმო

პილატეს მიმართ **ჯმოზდეს**

სიბორგილით ჯუარცმისა მის შენისა,

ქრისტე, ცხოვრების მომცემელო...“ (K 79, 222r).

„დღეს უგულისათვის

მწარე იგი და ბოროტი

შევრბაჲ კრებული და

იზრახეს მისთვის ზრახვაჲ ამაოჲ...“ (K 79, 208r).

პირველ მაგალითში ქვემდებარე, რომელიც მხოლოდობით რიცხვში დგას (ერი), შემასმენელს ითანხმებს რიცხვში, რადგან თავად კრებითი სახელითაა გადმოცემული. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აქ გვაქვს შემასმენლების მიხედვით შერწყმული წინადადება, რომელშიც პირველი შემასმენელი ქვემდებარეს მხოლოდობით რიცხვში უთანხმდება, მეორე – მრავლობითში.

პარალელურად ამისა, K79 ხელნაწერში დასტურდება შემთხვევები, როდესაც რიცხვში შეთანხმება კრებითი სახელის შემცველ ზმნურ შესიტყვებაში სალიტერატურო ენის ნორმას მიჰყვება. მაგალითად:

„ეზოსა კაიაფაძისა

დღეს **შევრბა კრებული,**

მედგარი და უსჯულოჲ...“ (K 79, 204v).

მსგავსი ნიმუშები განხილული აქვს ი. იმნაიშვილს ნაშრომში „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“. ცალკეულ შემთხვევათა ანალიზისას იგი წერს:

„კრებითი სახელები შინაარსით ყოველთვის მრავალს გამოხატავს, თუმცა ფორმა მხოლოდობითაა აქვს. ამ ორი საწყისიდან ძველი ქართული უმთავრესად აზრის, შინაარსის მომენტს წამოსწევს წინ და ამის გამო ხდება ასეთ სახელებთან ზმნის მრავლობით რიცხვში დასმა“ (იმნაიშვილი 1957: 314).

რა შეიძლება იყოს ამ მოვლენის მიზეზი?

რიცხვი შეიძლება გამოიხატოს როგორც მორფოლოგიურად, ისე ლექსიკურადაც. ენაში მოიპოვება ისეთი არსებითი სახელები და ზმნები,

რომლებიც შინაარსობრივად გულისხმობენ სიმრავლეს (კრებითი სახელები და რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნები). შესაძლებელია, ისინი ოდინდელი სემანტიკური პარალელიზმის ნიმუშებად ჩავთვალოთ, ყოველ შემთხვევაში, მრავლობითის ზმნურ ფუძეთა შესახებ ამის თქმა დაბეჯითებითაა შესაძლებელი.

ვინაიდან მრავლობითი რიცხვი საგანთა სიმრავლეს გულისხმობს, სახელი და ზმნა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ კატეგორიის გამოხატვის მხრივ. სახელდობრ, ზმნას რიცხვის გამოხატვა მხოლოდ სახელთან ურთიერთობაში შეუძლია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშნავს მასთან შეწყობილი აქტანტის სიმრავლეს.

„რიცხვის კატეგორია დამოუკიდებლად დამახასიათებელია მხოლოდ არსებითი სახელისათვის, რამდენადაც არსებითი სახელი გამოხატავს (აღნიშნავს) საგანთა კლასს, საგანთა კლასი კი, თავისთავად, რაოდენობასთან არის დაკავშირებული. ზმნა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად რიცხვის გამოხატვასთან, რაოდენობასთან არ არის დაკავშირებული. მან შეიძლება ასახოს მხოლოდ რიცხვი აქტანტებისა“ (ახალი ქართული ენა 2016: 108).

რიცხვში შეთანხმება ძველ ქართულში ფორმოზრივი ხასიათისა იყო. გენეტიურად ერთმანეთთან დაკავშირებული ნიშნების გაჩენაც ამას მიუთითებს და ამასვე მოწმობს რიცხვში მონაცვლე ზმნით გადმოცემულ შემასმენელში მრავლობითის ფორმანტის გაჩენა მაშინ, როცა მასთან შეწყობილი ქვემდებარე ან პირდაპირი დამატება ნარიან მრავლობითში დგას. მაგალითად:

„რომელსა **ასხენ ყურნი** სმენად, ისმინენ!“ (მთ. 13: 9 C).

მრავლობითობის ლექსიკურად გამოხატვის ფონზე აღარ არის აუცილებლობა რიცხვი შესაბამისი ფორმანტივაც აღინიშნოს, მაგრამ ფორმალური შეთანხმების ძლიერი ტენდენცია მსგავსი შეთანხმების საფუძველია და ამას ისიც უწყობს ხელს, რომ რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებში მრავლობითობის სემანტიკა ისტორიულად იჩრდილება.

მაშასადამე, სემანტიკურად მრავლობითობის აღმნიშვნელ სახელურ და ზმნურ ფუძეებთან მიმართებით ორგვარი ტენდენცია გამოიკვეთა: ზმნურ ფუძეებში თანდათან დაიჩრდილა მრავლობითის სემანტიკა, ამას მოწმობს ამგვარ ფუძეთა მრავლობითის აფიქსებით გაფორმება; სახელებში კი მრავლობითის სემანტიკა გაცილებით ძლიერია, რასაც განხილული მაგალითებიც მოწმობს. ვფიქრობთ, ეს სინეზისის ჩვენ მიერ განხილული შემთხვევის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს.

2. ჰიმნოგრაფიული ტექსტების ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ შემასმენელთან კომბინაციაში უმეტესწილად I და II პირები გვხვდება. სინეზისის შემდეგი შემთხვევა სწორედ ამ ტიპის კონსტრუქციებთანაა დაკავშირებული. მაგალითად:

„რადთა **გუაცხოვნნეს**

მოსლვასა მისსა დიდებით მეორედ ზეცით

და **შეგწყალნეს**

და **ღირსგყვნეს** მარჯუენით მისსა“ (K-79, 25r).

დამოწმებულ მაგალითში სინეზისის სამი შემთხვევა დასტურდება:

- 1) გუაცხოვნ-ნ-ე-ს მან ჩუენ
- 2) შეგვწყალ-ნ-ე-ს მან ჩუენ
- 3) ღირს გ[ვ]ყვ-ნ-ე-ს მან ჩუენ.

სამივე შემთხვევაში პირდაპირი დამატება ზმნურ ფორმაში აღნიშნულია ორმაგად: გუ- (>გვ-) პრეფიქსით გამოხატულია პირი და რიცხვი, ხოლო -ნ სუფიქსი გამოხატავს მხოლოდ რიცხვს. ამ შემთხვევებშიც უპირატესობა ენიჭება სემანტიკას, რაც ცვლის ფორმოზოგრაფიულ დამოკიდებულებას. -ნ სუფიქსის გაჩენა სემანტიკის გავლენითაა შეპირობებული.

მსგავსი მაგალითები K79 ხელნაწერში მრავლად მოიპოვება.

„...რადთა ღირსმყვნეს

დღეთა ამათ

უბიწოდსა მარხვისადთა

აღსრულებად სიწმიდით სათნოდ მისსა...“ (K 79, 24v).

„რადთა **განგუათავისუფლნეს**

და **გვჰსნეს** მოწყალებით

მონებისაგან მტერისა...“ (K 79, 208r).

ორივე შემთხვევაში პირდაპირი დამატების მრავლობითობა აღნიშნულია -ნ სუფიქსით, თუმცა ამის გრამატიკული საფუძველი არ არსებობს.

საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა:

„რადთა მისთანა

ღირს ვიქმნეთ ჩუენცა ცოდვათაჲ შენდობასა“ (K 79, 2v).

ქვემდებარის (ჩუენ) მრავლობითობა გამოხატულია როგორც -თ სუფიქსით, ასევე -ნ სუფიქსითაც. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რიცხვში შეთანხმების საფუძველი ძველ ქართულში ფორმალური ხასიათისა იყო.

არნ. ჩიქობავა მსგავს მაგალითთა განხილვისას შენიშნავს:

„აღსანიშნავია შემდეგი მოვლენაც: -ენ- აღნიშნავს სამივე პირის მრავლობითობას თუ MO's ეხება საქმე (მ ა ნ კ ლ ნ ა, გ კ ლ ნ ა, მ კ ლ ნ ა) და მხოლოდ მესამე პირის მრავლობითობას თუ MS's“ (ჩიქობავა 2010: 33).

საყურადღებოა, რომ ჩვენ მიერ დამოწმებულ მაგალითში -ნ (-ენ-) სუფიქსით აღნიშნულია ვინის რიგის ნიშნით გამოხატული აქტანტის (ანუ მორფოლოგიური სუბიექტის) მრავლობითობა.

ცნობილია, რომ I და II პირის ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვს ლექსიკურად, სხვა ფუძით, გამოხატავენ.

„ბევრი სხვა ენის მსგავსად ქართველურ ენებშიც რიცხვის კატეგორია ფაქტობრივად გრამატიკული საშუალებით კი არაა გამოხატული, არამედ ლექსიკურად. **ჩვენ, თქვენ**... ნაცვალსახელები რიცხვის მიხედვით არავითარ აფიქსებს არ დაირთავენ. მართალია, ზოგიერთ ამათგანს ბოლოში -ნ აქვს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მრავლობითი რიცხვის ნიშნად ვერ ჩაითვლება (მარტიროსოვი 1964: 300).

ძველ ქართულში პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა მოწმობს, რომ სახელობითბრუნვიანი აქტანტის ნარის შემცველი სუფიქსით

აღნიშვნა ეხება როგორც სუბიექტს, ასევე პირდაპირ ობიექტს. მაშასადამე, შეთანხმების ეს წესი არ განასხვავებს პირებს როგორების მიხედვით. ამ წესს მიღმა რჩება ირიბი ობიექტი, რადგან იგი არცერთ შემთხვევაში არ ჩადგება სახელობით ბრუნვაში.

ამ მოვლენის კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა მიერ მრავლობითის საწარმოებლად სხვა ფუძის გამოყენებას.

დრო-კილოთა მეორე ჯგუფში პირდაპირი ობიექტის აღსანიშნავად -ნ სუფიქსის გაჩენა სწორედ იმით უნდა იყოს შეპირობებული, რომ ამ მწკრივებში იგი ზმნას სახელობით ბრუნვაში შეეწყობა. მრავლობითის ნარიანი ფორმები კი, როგორც წესი, ზმნაში სისტემატურად აჩენს ნიშანს, ოღონდ ამ ნიშნის გაჩენას ფორმალური საფუძველი მაშინ ჰქონდა, როცა პირდაპირი დამატება მესამე პირის ნაცვალსახელით ან სახელით იყო რეალიზებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მაშინ, როცა პირდაპირი დამატება (იგივე შეიძლება ითქვას გარდაუვალ ზმნათა ქვემდებარეზე) გადმოცემულია პირველი ან მეორე პირის ნაცვალსახელებით, -ნ (-ენ) ფორმანტის გაჩენა მეორეული მოვლენა ჩანს და სინეზისის კიდეც ერთ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

ადიშის ოთხთავი 2003: ადიშის ოთხთავი 897 წლისა. საერთო რედაქტორი ზურაბ სარჯველაძე. თბილისი, 2003.

ახალი ქართული ენა 2016: ახალი ქართული ენა, სალიტერატურო ენის მორფოლოგია. ზოგადი. სახელი. გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის საერთო რედაქციით. თბილისი, 2016.

დავითიანი 1973: დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი. თბილისი, 1973.

იმნაიშვილი 1957: იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი, 1957.

კიზირია 1954: კიზირია ა., საერო მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI. თბილისი, 1954.

მელიქიშვილი 2014: მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, თბილისი, 2014.

ჩიქობავა 1954: ჩიქობავა არნ., მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI. თბილისი, 1954.

ჩიქობავა 2010: ჩიქობავა არნ., რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში? შრომები, II, თბილისი, 2010.

K 79: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდის №79 ხელნაწერი.